

## მურმან ქუთელია

### არაბული “მუალაკებისა” და “ათას ერთი ლამის” ქართული თარგმანების შესახებ

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით შედარებით დეტალურად გავაანალიზოთ ისლამდელი არაბი პოეტების ლექსების კრებული “მუალაკები”, გამოვავლინოთ თარგმანის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხოლო “ათას ერთი ლამის” თარგმანთან დაკავშირებით უფრო ზოგადი შეფასებებით შემოვიფარგლებით.

მუალაკები ჩვენამდე მოღწეული არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი ძეგლია. მასში შესული პოეტები ცხოვრობდნენ ისლამის გავრცელებამდე, ჩვ. წ. V ს-ის დასასრულსა და VII ს-ის I ნახევარში, ამიტომაც ხშირად მათ ლექსებს უწოდებენ ისლამდელი პოეზიის ნიმუშებს.

VII ს-ის II ნახევარამდე ისლამდელი პოეტების ლექსები თაობიდან თაობებს გადაეცემოდა ზეპირი გზით ე. წ. რავიების (ზეპირი მთქმელების) მეშვეობით. მათი შეგროვება და ჩაწერა დაიწყო VII ს-ის II ნახევრიდან და VIII საუკუნეში დასრულდა. შეიქმნა პოეტთა დივანები, ანთოლოგიები, კრებულები და სხვა. ასეთ კრებულს წარმოადგენს VIII ს-ში რავი ალ-ჰამადის მიერ შედგენილი კრებული, რომელსაც ავტორმა “მუალაკები” უწოდა. ისლამდელ პოეზიასთან დაკავშირებით რიგ საკითხებზე, როგორცაა ტერმინ “მუალაკს” მნიშვნელობა, ისლამდელი პოეზიის ენა, ამ პოეზიის ნამდვილობა და სხვა, მეცნიერთა შორის აზრთა სხვაობის მიზეზი გახდა. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს აღნიშნული საკითხების განხილვა; ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ “მუალაკა” ნიშნავს “დაკიდებულს”, “წამოკიდებულს” (არაბული ზმნის ‘ალაკა-ჰ მეორე თემის ვნებით გვარის მიმღეობა). ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, კრებულის სახელწოდება ნიშნავს “გაყრილს”, “განშორებულს”, ხოლო აკად. ე. კრაჩკოვსკი მას თარგმნის როგორც “რჩეულს”, “შერჩეულს” (ი. კრაჩკოვსკი, 1956, გვ. 247).

მუალაკების კრებული ცალკე წიგნად გამოიცა 1985 წელს. თარგმანი ეკუთვნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ნანა ფურცელაძეს. ამთავითვე ვიტყვით, რომ თარგმანი მაღალ დონეზეა შესრულებული, რასაც წინ უძღოდა არაბულ ტექსტზე მრავალწლიანი დაუღალავი მუშაობა. ხაზი იმასაც უნდა გავესვას, რომ ისლამდელი პოეტური ძეგლების მთარგმნელი დგება რიგი სირთულეების წინაშე, რომელთა დაძლევა დიდ ცოდნასა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. განსაკუთრებით ძნელად დასაძლევ ზღუდეს ქმნის მუალაკების ავტორების მიერ სიმბოლოების მეშვეობით შექმნილი პოეტური სახეების სწორი გახსნა-გაგება. თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ასახელებენ არა საგანს, რომელსაც აღწერენ, არამედ მის თვისებას. ამით ისინი მკითხველს ანდობენ საგნის შეცნობას, და მის ასხნას. ლაბილი როცა ამბობს “სქელკისრიანნი სიძულვილით იღრინებიან და ფეხი მაგრად დაუტრკვიათ, ვით უდაბნოს ჭინთ” (ბეითი 71) (მუალაკები, 1985, გვ. 60) [აქ და

შემდეგ მოყვანილი მაგალითები მოხმობილია ნ. ფურცელაძის თარგმანიდან, “სქელკისრიანი” ლომს გულისხმობს. ან ანთარა როცა ამბობს: “აწ მბდღვინავთ (ლომთა) სანახებში გაჩერებულა! ო, გამიძნელდა მოახლება, მახრამის ქალო” (ბეითი 6) (მუალაკები, 1985, გვ. 12). დედანში ლომი არ არის მოხსენიებული, მთარგმნელი აღადგენს მხოლოდ თვალსაჩინოების მიზნით. აქ “მბდღვინავი” ცვლის “ლომს”, რომელიც მეტაფორულად ნიშნავს “მტერს”. პოეტი “მბდღვინავი” ზედსართავი სახელით მკითხველის წინაშე აყენებს ორმაგ გამოცანას. ჯერ გაიაზრო, რომ “მბდღვინავი” არის ლომი, შემდეგ კი “ლომი” — მტერი. მაშასადამე, ანთარას სურს თქვას: “აწ მტრების სანახებში გაჩერებულა!...” მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. არის შემთხვევები, როცა საგნის აღწერას უკავია ლექსის დიდი ნაწილი, გამოყენებულია სიმბოლოების დიდი რაოდენობა, თვით საგანი კი ერთხელაც არ არის ნახსენები. რომ არ დააბნოთ მკითხველი თუ მსმენელი, პოეტი აუცილებლად გამოიყენებს ერთ ან ორ სიმბოლოს, რომელთა ხმარება ამ საგნის მიმართ შეიძლება. ასე იქცევიან იმრუ ლ-კაისი და ტარაფა ცხენისა და აქლემის აღწერისას. ამ ხერხებით აგებული პოეტური სახეების ამოცნობას ისიც ართულებს, რომ დროთა ვითარებაში იცვლება აზრთა მიმართება სიტყვებს შორის. ამიტომ დღეს ჭირს ამა თუ იმ სიტყვის გაგება, მისი მნიშვნელობის დადგენა. ამ შემთხვევაში მთარგმნელს დამხმარედ ვვლინებიან შუა საუკუნეების არაბი კომენტატორები და ფილოლოგები, რომლებიც იძლევიან რიგი სიტყვების განმარტებებს, რის გარეშე დღეს მუალაკების ბევრი ადგილის გაგება შეუძლებელი თუ არა, ძალზე ძნელი იქნებოდა.

მთარგმნელი წარმატებით ართმევს თავს ამ პრობლემას, მაქსიმალურად ცდილობს, შეინარჩუნოს გამოსახვის თავისებური ხერხი, მაგრამ, ორაზროვნების ან ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, თარგმანში ავტორთა მიერ ნაგულისხმევ სიტყვებს და საგანთა სახელებს ხშირად ფრჩხილებში ათავსებს, რაც თავის მხრივ, უმეტეს შემთხვევაში, კი არ ამძიმებს თარგმანს, არამედ გასაგებსა და უფრო მხატვრულს ხდის მას. მაგალითად, ლაბიდის 54-ე ბეითი (პწკარელი: “როცა გვიან დილით (ე.ი. შუადღის წინ - მ. ქ.) ცეკვავს ელვარება, ბორცვები იცვამენ მირაჟის წამოსახამს” [8, გვ.174]), თარგმანში ასეა წარმოდგენილი: “შუადღის ზეატში, როს როკავს (ტრამალთა), ბორცენი მირაჟის მოსახამში გაეხვევიან” (მუალაკები, 1985, გვ. 58). მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მთარგმნელი უცვლელად მიჰყვება ამ გზას. თუ საჭიროა, ავტორის მსგავსად, გამოტოვებს საგანს და გვაძლევს სიმბოლოს, წიგნის ბოლოს დართულ შენიშვნებში განმარტავს მის მნიშვნელობას.

ორიოდე სიტყვით შევჩერდებით მთარგმნელის მიერ წარმატებით გამოყენებულ ერთ-ერთ ხერხზე. ხშირად შუა საუკუნეების არაბი კომენტატორები, როცა განმარტავენ ლექსში პოეტის მიერ პირდაპირ ნახსენებ რომელიმე საგანს, ვრცლად ჩერდებიან მასზე. მაგალითად, იმრუ ლ-კაისის მუალაკის 25-ე ბეითში ნახსენები “ვიშაჰი” განმარტებულია, როგორც ქალის თვალ-მარგალიტით მორთული ტყავის სარტყელი, რომლის თვლები და მარგალიტები ერთმანეთისგან გამოყოფილია ოქროს ვარაყით, მარჯნით ან სხვა რამეთი. მთარგმნელმა შესანიშნავად გამოიყენა ეს ვრცელი განმარტება, შემოიტანა მახასიათებელი სიტყვები, რითაც მიაღწია აზრის ნათლად წარმოჩენას და მხატვრულობის მაღალ დონეს: “როცა ზეცაზე აღმოხდა ხომლი, / ელვარე, როგორც ვიშაჰის კალთა, / (ოქროს ვარაყით) დამოქნული და / (თვალ-მარგალიტით) ამოქარგული” (მუალაკები, 1985, გვ. 30). ამ ბეითის პწკარელი ასეთია: “როცა ზეცაზე

აღმოხდა ხომლი, [ელვარე], როგორც ამოქარგული ვიშაპის კალთა" (5, გვ. 39).

ჩვენ მიერ ჩატარებულმა შერჩევითმა შედარებამ თარგმანისა ორიგინალთან, არ მოგვცა მნიშვნელოვანი განსხვავება ტექსტის გაგებასა და ქართულ ენაზე გადმოტანაში. ნ. ფურცელაძემ მოახერხა, აღედგინა იმდროინდელი არაბული სამყაროს კულორიტი, შეუნარჩუნა მულაკების ავტორებს თვითმყოფლობა და ინდივიდუალურობა, სწორად გადმოგვცა ორიგინალის აზრი და განწყობა, გამორიცხა ზედმეტი შედარებები, ეპითეტები და ზედმეტი სიტყვები, რითაც მაქსიმალურად შეინარჩუნა პოეტთა სტილის ლაკონურობა. თარგმანი იმდენად ზუსტად მიჰყვება ორიგინალს, რომ გვაგონებს პწკარედს, მაგრამ კარგად შესრულებულს და მკითხველი აღიქვამს მაღალი პოეზიის ნიმუშად. ტარაფას მეთერთმეტე ბეითის პწკარედი ასეთი სახისაა: "ქეშმარიტად, სევდა რომ მოვიშორო, როცა მომეღიწება, [მოვახტები] მოზრილს, მალემსრობლს, რომელიც მიჰქრის დღისით და ღამით" (6, გვ. 22) ("მოვახტები" დედანში არ არის, იგულისხმება). მთარგმნელმა მოგვცა მშვენიერი, ამასთანავე ზუსტი თარგმანი: "როგორც კი სევდა შემომაწვება, მე ჩემს კეშანს მით განვიქარვებ, რომ მოვახტები მოზრილს, მალემსრობლს და მიმაქროლებს დღისით და ღამით" (მულაკები, 1985, გვ. 38). ან კიდევ იმავე ტარაფას 44-ე ბეითი: "და მიდის ამაყად ისევე, როგორც მიდის / ამაყად მეჭლისზე მხევალი, // რომელიც უჩვენებს [ცეკვისას] თავის ბატონს / გრძელი სამოსის კალთებს (6, გვ. 29). იგი მთარგმნელთან მცირედი შევსება-ჩამატების შემდეგ ასეთ სახეს ღებულობს: "და მირონინებს თვამოწონებით, / როგორც მეჭლისზე ტურფა მხევალი, / თავის უფალს რომ აღფრიალებს / როკვისას თეთრი სამოსის კალთებს" (მულაკები, 1985, გვ. 41).

მულაკები დაწერილია ერთი საზომითა და ერთი რითმით. მთარგმნელმა შეგნებულად და, ჩვენი აზრით, მართებულად უარყო არაბული ლექსის ეს ორი აუცილებელი პირობა, მით უმეტეს, ქართული ლექსისთვის უცხოა ერთი რითმა. მან თარგმანი ურითმოდ შეასრულა, სამაგიეროდ აქცენტი რიტმზე გადაიტანა და წარმატებითაც. რიტმით მიაღწია დედნისეულ მუსიკალურობას და შინაგან დაძაბულობას. თუმცა მკითხველი იპოვის ადგილებს, და არც ისე ცოტას, შესრულებულს რითმით. საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე ბეითს ტარაფას მულაკიდან: "ვხედავ, სიცოცხლე ის საუწყვა, / ყოველდამე რომ რაღაც აკლებდა, // რასაც დღენი და დრონი ძარცვავენ / — ბოლოსდაბოლოს ისიც გაქრება" (ბ. 66) (მულაკები, 1985, გვ. 43), "შენმა სიცოცხლემ, სხვა არა არი / წუთისოფელი თუ არა ვალი. // და, როგორც შეძლო, მოიმარაგე / სულის სარჩენად ქველი საქმენი" (ბ. 104) (მულაკები, 1985, გვ. 46).

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა:

ლაბიდის მულაკას 76-ე ბეითს (8, გვ. 178) ნ. ფურცელაძე ასე თარგმნის: "შოდის ყოველი მაჩანჩალა ჩემი კარვის წალაებისკენ, / (ჯამააქლემი) სევდასილი, მოკლე კონკებში და თავს მაფარებს" ("ჯამააქლემი" მთარგმნელის მიერ არის ჩამატებული). აქ "მაჩანჩალა" ცვლის "გაძვალტყავებულ აქლემს", ხოლო ეს უკანასკნელი - "ლარიბ დედაკაცს", "სევდასილი" კი სასიკვდილოდ განწირულ აქლემს. დედანის წაკითხვისას ნათელი ხდება, რომ თარგმანი არასწორად არის შესრულებული. ჩავსვათ სიმბოლოების ნაცვლად ნაგულისხმევი საგნები (მხედველობაში ნუ მივიღებთ ჩამატებულ სიტყვას "ჩემი") და მივიღებთ: "შოდის ყოველი დედაკაცი (იგ. ლარიბი დედაკაცი - მ. ქ.) ჩემი კარვის წალაებისკენ,

ჯამაქლეში მოკლე კონკეტში და თავს მაფარებს”. თარგმანში “ჯამაქლეშის”, გინდ “სვედავისლის”, არსებობა ბეითს აშკარად უაზროს ხდის. სინამდვილეში მთარგმნელს გამორჩა დედნისეული სიტყვა “მისლა” - “მსგავსი”, “ვით”, “დასადარი”, რომლის აღდგენა ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს: “შოდის ყოველი მანაჩალა ჩემი კარვის წალაებისკენ, დასადარი სვედავისლისა, (შემოსილი) მოკლე ძონძებით”. იმრუ ლ-კაისის მე-80 ბეითი (5, გვ. 62) ასეა თარგმნილი: “და ალ-ლაბიტის უდაბნოში დაიცალა დელგმა ტვირთისგან, ვით დაბარგული, გუდიანი, იამანელი” (შულაკები, 1985, გვ. 35). ჩვენი აზრით, აქ “იამანელი” ვაჭარია დაბარგული და გუდიანი და არა ვაჭარი იამანელი ცალკე, ვაჭარი დაბარგული ცალკე და ვაჭარი გუდიანი ცალკე. “დაბარგული” და “გუდიანი” მახასიათებელია აქ იემენელი ვაჭრისა. ე.ი. უმჯობესი იქნებოდა: “და ალ-ლაბიტის უდაბნოში დაიცალა დელგმა ტვირთისგან, ვით დაბარგული, გუდიანი იამანელი”. შესაძლებელია, აქ ბოლო სასვენი ნიშანი - მძიმე შეცდომით იყოს დასმული.

ასეთი შეცდომები ძალზე მცირეა და სულაც ვერ ცვლის ჩვენს შეფასებას თარგმანის მაღალი მხატვრული დონის შესახებ.

მულაკების თარგმანთან დაკავშირებით, გვსურს აღვნიშნოთ, რომ წიგნს უძღვის ქალბატონი ნანა ფურცელაძის ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც გაშუქებულია ისლამამდელ პოეზიასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. ასევე საყურადღებოა წიგნზე დართული შენიშვნები, სადაც, შუა საუკუნეების არაბი ფილოლოგების წომეებისა და თანამედროვე არაბი და ევროპელი არაბისტების გამოკვლევების გათვალისწინებით, განმარტებულია ისლამამდელი პოეზიისთვის დამახასიათებელი ხატოვანი თქმები, სპეციფიკური ტერმინები, ისტორიულ პირთა და ტომთა, აგრეთვე გეოგრაფიული სახელები და ა.შ.

“ათას ერთ ლამეში” გადმოცემულია ამბავი შაჰრიარ მეფისა და შაჰრაზადის. ერთ დროს ინდოეთსა და ჩინეთს განაგებდა შაჰრიარ მეფე. იგი იგებს მეუღლის ღალატს და თავს ჰკვეთს მას, შემდეგ ყოველღამე ირთავს ქალწულს და იმავე ღამესვე კლავს. ასე გრძელდება სამი წელი. ქალწულთა მოძებნა ძნელი შეიქმნა, ვაზირი კი ვალდებულია ბრძანება შეასრულოს. შეჭირვებული ვაზირი ყოველივეს უამბობს თავის მშვენიერ ასულებს შაჰრაზადს და ღუნიანადას. შაჰრაზადი, რომელიც კარგი მწიგნობარია, მრავალი რამ აქვს წაკითხული, სთხოვს მამას, მიათხოვოს ხელმწიფეს. ღები მოილაპარაკებენ, “როცა ნახავ, მეფეს აღარ ვჭირდები, მითხარი: - ჩემო დაო, მოჰყვი რაიმე უცხო ამბავი, რომ უძილო ღამე შეუმჩნევლად გავიდეს”. ასეც მოიქცნენ. შაჰრიარ მეფე მოწყენილია, გაუხარდება ამბის მოსმენა და ნებას რთავს. შაჰრაზადი პირველ ღამეს ჰყვება ამბავს, განთიადისას კი ყველაზე საინტერესო ადგილს წყვეტს თხრობას. მეფეს ამბის დასასრულის გააგების დიდი სურვილი იპყრობს, გადაწყვეტს, არ მოკლას შაჰრაზადი, ვიდრე ამბის დასასრულს არ მოისმენს. მეორე ღამეს შაჰრაზადი აგრძელებს თხრობას ... და ასე გრძელდება მთელი ათას ერთი ღამის განმავლობაში. სამი ვაჟიშვილიც ეყოლა მეფეს შაჰრაზადისაგან. ქალებზე გამწყრალს და გულაყრილს მოხიზლავს შაჰრაზადის მოხერხებულობა, გონიერება, კეთილშობილება და მშვენიერება, შეიწყალეს. თანამეცხედრედ დაისვაშს და “.... იცხოვრა მეფემ თავის ხალხთან ერთად სიამეში, სიხარულში, ნეტარებასა და განცხრომაში, ვიდრე არ ეწია სიტკობათა მსახერალი, თავყრილობათა დამშლელი”.

ეს არის ამბავი, რომელიც ერთ საერთო ჩარჩოში აერთიანებს მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ შედეგში - "ათას ერთ ღამეში" შესულ ზღაპრებს, მოთხრობებს, არაკებს. "ათას ერთი ღამე" იქმნებოდა არაბულ ენაზე უზარმაზარი არაბული სახალიფოს სხვადასხვა რეგიონში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (დაახლოებით IX-XV სს.). მას საფუძვლად უდევს საშუალო სპარსულიდან (ფალაურიდან) დაახლოებით IX ს-ში თარგმნილი კრებული "ათასი ზღაპარი". არაბებმა მასში წარმოდგენილი ზღაპრები ერთ ჩარჩოში გააერთიანეს და "ათასი ღამე" უწოდეს. აქ სიტყვა "ათასი" ნიშნავდა "შრავალს". მოგვიანებით "ათასი ღამე" გადაკეთდა "ათას ერთ ღამედ" იმავე "შრავლის" მნიშვნელობით. დროთა ვითარებაში "ათას ერთი ღამე" პირდაპირი მნიშვნელობით იქნა გაგებული, რამაც ახალი ზღაპრების დამატება მოითხოვა.

"ათას ერთი ღამის" დეტალური ანალიზის საფუძველზე მიჩნეულია, რომ ძირითადი ჩარჩო ინდური წარმოშობისაა. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სპარსული წარმოშობის ჯადოსნურ ზღაპრებს. ისინი ყველაზე ადრეული ხანისაა. კრებულის ყველაზე დიდი ნაწილი ბალდაღური წარმოშობისად არის მიჩნეული, რადგან ამბები ძირითადად აბასიანთა ხალიფებს, მათ ვაზირებსა და დიდებულებს ეხება. მოქმედების არეალი ბალდაღი და მისი შემოარჩენია. ყველაზე გვიანდელ პერიოდს (XII-XV სს.) განეკუთვნება ეგვიპტეში შექმნილი მოთხრობები ქურდებისა და მოხეტიალეების შესახებ, ამბები მამლუქთა და თურქთა ეპოქიდან, მოთხრობები ქალაქელთა შესახებ და ა.შ. კრებულში გაერთიანებულია სხვადასხვა სახის ზღაპრები, სამიჯნურო მოთხრობები და რომანები, სადაც აღწერილია ძველ არაბთა ცხოვრება, ბალდაღისა და ერაყის სხვა დიდი ქალაქების ბინადართა ყოფა, სატრფიალო რომანები კაიროს ცხოვრებიდან, მოთხრობები მოგზაურთა შესახებ, ძველი არაბული ლეგენდები, დიდაქტიკური და იუმორისტული ხასიათის მოთხრობები, არაკები და ანეკდოტები. მოქმედი პირობები მრავალფეროვანია — სულები თუ ფერიები, ხალიფები თუ მეფეები, სურტნები თუ მთავრები, ვაზირები თუ დიდებულები, ერთგული თუ მოღალატე ცოლები, ვაჭრები თუ ხელოსნები, მოგზაურები თუ მებრუნებულები, მსაჯულები, მსწავლელები, მებადურები, საქურისები, მონები თუ სხვანი და სხვანი.

კრებულში უზვად არის გამოყენებული ფრაგმენტები როგორც ისლამამდელი, ისე შემდეგი პერიოდის არაბული პოეზიიდან, ან კიდევ ანონიმი ავტორებისა. ეს ლექსები შემდეგ უნდა იყოს ჩამატებული, რადგანაც ბევრი ლექსი, შინაარსის თვალსაზრისით, ტექსტისათვის აუცილებელს არ წარმოადგენს. მათი ჩართვა ძველი აღმოსავლური, ასევე შუა საუკუნეების არაბული ტრადიციის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ.

"ათას ერთი ღამე" დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო ხალხების ფოლკლორსა და წერილობით ლიტერატურაზე. ცალკეული ზღაპრების სიუჟეტებზე შეიქმნა მხატვრული მინიატურები, მუსიკალური ნაწარმოებები (მაგ., ნ. რიმსკი-კორსაკოვის "შეშერებადა"), გადაღებულ იქნა კინოფილმები, როგორებიცაა "ბალდაღელი ქურდი", "სინდაღის მეშვიდე მოგზაურობა", "ალადინის ჯადოსნური ლამპარი" და სხვა.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ფრანგმა მეცნიერმა და მოგზაურმა ჟან ანტუან გალანმა (1646-1715) შეასრულა "ათას ერთი ღამის" პირველი თარგმანი ფრანგულ ენაზე, რითაც სათავე დაუდო მის ტრიუმფალურ სვლას.

დიდი ხნის განმავლობაში "ათას ერთი ღამე" ქართველ მთარგმნელთა თვალთახედვის მიღმა რჩებოდა (მხედველობაში თუ არ მივიღებთ 1894 და 1937

წლებში მცირე მოკულობის წიგნებად გამოცემულ რამდენიმე ზღაპარს, რომელთა თარგმანი არ უნდა იყოს შესრულებული ორიგინალიდან). ქართულ ენაზე მისი თარგმნის აუცილებლობა უკვე კარგა ხნის მომწიფებული იყო. 60-იანი წლების დასაწყისში ამ მეტად რთული და საპატიო მისიის შესრულება თავის თავზე აიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა, ცნობილმა მეცნიერებმა და შესანიშნავმა პედაგოგებმა, ქალბატონებმა თინა მარგველაშვილმა და ნანა ფურცელაძემ. თარგმანი მათ უშუალოდ არაბული ორიგინალიდან, კერძოდ, ვევატური ვერსიიდან შეასრულეს; გარდა ამისა, გამოიყენეს ალუპოს, ბეირუთის და სხვა გამოცემები. მთარგმნელებმა მიზნად დაუსახეს თარგმანს, როგორც ამას პირველი ტომის წინასიტყვაობაში წერს წიგნის რედაქტორი აკად. გ. წერეთელი, “ზუსტად ასახოს ქართულ ენაზე არაბული ღედნის თავისებურება ისე, რომ ქართული ენის ნორმები არ იქნეს დარღვეული. ვინაიდან გამოცემა განკუთვნილია არა მარტო ფართო მკითხველსათვის, არამედ მეცნიერულ მიზნებსაც ისახავს, თარგმანში ტექსტი გადმოცემულია უცვლელად, გარდა მცირეოდენი შემთხვევებისა, როდესაც თბილისის უშუალოდ ყოველგვარ საზღვრებს სცილდება...” (“ათას ერთი ღამე”, გვ. 14).

მთარგმნელებმა მართლაც შესანიშნავად გაართვეს თავი დასახულ მიზანს, არა მარტო ქართული ენის ნორმები დაიცვეს, არამედ ღედნის სული და თავისებურებები მაქსიმალურად შეინარჩუნეს, რაც თავისებურ ხიბლს სძენს თარგმანს. ასეთი პარამონის მიღწევა ღედანსა და თარგმანს შორის მარტივი საქმე სულაც არ იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ სირთულეებს, რომელთა წინაშე დგება ყველა მთარგმნელი არაბულ ტექსტზე მუშაობისას. ვისაც უმუშავია “ყურანზე”, “ქილილა და დამანაზე”, “შაკამებსა” და შუა საუკუნეების სხვა არაბულ პროზაულ ნაწარმოებებზე, მისთვის გასაგებია ეს სირთულეები. ამას ემატება 1420-მდე ჩართული ლექსი, რომელთაც, რა თქმა უნდა, კომენტარები არ ახლავს. მთარგმნელებმა დაძლიეს ეს სირთულეც, შეასრულეს ყველა ლექსის აწკარავი, ურითმო ლექსად ეახლეს კოტეტიშვილმა გააწყო, ნაწილი კი — თვით ნანა ფურცელაძემ.

მთარგმნელთა წინაშე მდგარი სირთულეების დასაძლევად, ლიტერატურული ნიჭისა და სათარგმნი ენის ფლობის გარდა, საჭირო იყო ღრმა მეცნიერული ცოდნა. მთარგმნელებში ამ სამი კომპონენტის შერწყმამ განასაზღვრა თარგმანის მაღალი დონე.

იმთავითვე განისაზღვრა “ათას ერთ ღამის” გამოცემა რვა ტომად. I, II, V და VI ტომების თარგმანი ნანა ფურცელაძის მიერაა შესრულებული, ხოლო III, IV, VII და VIII ტომების თარგმანი თინა მარგველაშვილს ეკუთვნის. VIII ტომში დანართის სახით შეტანილია ორი ყველაზე პოპულარული არაბული ზღაპარი — “ალი ბაბა და ორმოცი ყაჩაღი” და “ალა ად-დინი და ჯადოსნური ლამპარი” (თარგმნა თ. მარგველაშვილმა), რომლებიც არ არის შესული “ათას ერთი ღამის” არც ერთ არაბულ გამოცემაში.

#### დამოწმებული ლიტერატურა

- “ათას ერთი ღამე”, ტ. I, თბ., 1967.  
 მულაკები, 1985 - მულაკები, თარგმანი ნ. ფურცელაძისა, თბ., 1985.  
 ი. კრაჩკოვსკი, 1956 - И. Крачковский И. Ю., Арабская поэзия, Избр. соч. т. 2, М. - Л., 1956.

ألف ليلة وليلة، ج. 1 4 ، القاهرة  
 ديوان امرئ القيس، بيروت  
 ديوان طرفة بن العبد، بيروت، 1961  
 ديوان عنتره، بيروت، 1980  
 ديوان ليبيد بن ربيعة العامري، بيروت

## MURMAN QUTELIA

### GEORGIAN TRANSLATIONS OF ARABIC *MUALAKS* AND *THE ARABIAN NIGHTS*

The present article analyzes and evaluates Georgian translations of the pre-Islamic Arab poems collections *Mualaks* and *The Arabian Nights* (or *One Thousand and One Nights*).

The Georgian translations of *Mualaks* belongs to Nana Purtseladze, Professor of Tbilisi State University (TSU). It should be noted that a translator of pre-Islamic poems is faced with a number of problems; it is especially difficult to interpret correctly the authors' poetic image created by symbols. The peculiarity lies in the fact that they name not an object which they describe, but its feature. Thereby they entrust to a translator or a reader the recognitions and explanation of the object. My comparison of the translation with the original has demonstrated significant differences in the understanding of the text and its rendering into the Georgian language. The translator reconstructed successfully the coloring of the Arab world of that period, retained the originality and individuality of the authors, conveyed correctly the meaning and mood of the original, and excluded redundant evaluations, epithets and words, by means of which she retained the poets' laconic style as much as possible. The translation is unrhymed; the translator placed emphasis on rhythm and in this way attained the musicality and inner tension of the original. However, the reader will find quite a number of rhymed passages too. The translation is not guaranteed against mistakes, but they are very few and do not affect on my evaluation concerning its high artistic level.

As for *The Arabian Nights*, it was translated into Georgian by TSU Professors Tina Margvelashvili and Nana Purtseladze. The translation was intended not only for general public but had scholarly aims as well. Therefore, the translators should have reflected precisely the peculiarities of the Arabic original so that not to violate norms of the Georgian language. They managed their tasks successfully; they have not only observed norms of the Georgian language, but also retained the spirit and peculiarities of the original to the maximum. The original text included numerous verses, the translation of which was linked with additional difficulties.

Finally, it should be noted that to overcome difficulties facing the translators in case of *The Arabian Nights* as well as *Mualaks*, literary talent and mastery of the target language were not sufficient. Profound scholarly knowledge was also necessary. Merging of these three components defined the high level of the translations.